*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს „ახალი ქართული სკოლა“ |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 404909532 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | კი |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | კი |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას | არა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქალაქი თბილისი, საბურთალოს ქ N43, ბინა 42 (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით) |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი თბილისი, ყაზბეგის გამზ N47 |
| საფოსტო ინდექსი | 0177 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | https://www.axaliqartuliskola.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | axaliqartuliskola@gmail.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 551633000 |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | მადონა ლანჩავა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 551633000 |
| ელ-ფოსტა | lanchavamadona@gmail,com |

## III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | განათლების ხარისხის განვითერების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 იანვრის N19310 ბრძანება |
| მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი) | ნოდარ ანგურიძე, თავმჯდომარე;<br>ზვიად გოგუაძე, წევრი |
| ვიზიტის განხორციელების პერიოდი | 2021 წლის 27 იანვარი, დისტანციურად ZOOM-ის გამოყენებით |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 2021 წლის 2-4 მარტი |
| დასკვნის წარმოდგენის თარიღი | 2021 წლის 4 მარტი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

## IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი/ქვესტანდარტი | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☐ | ☒ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *2.7.* | *1. დარღვეულია შიდა დოკუმენტების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან*<br><br>*2. დარღვეულია „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი* |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *2.7* | *დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, საკუთარი დოკუმენტები (დებულება, შინაგანაწესი და სხვა) და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად* |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | იქიდან გამომდინარე, რომ შესამოწმებელი იყო მხოლოდ ორი ქვესტანდარტი, მოხერხდა მხოლოდ სკოლის საქმიანობის ვიწრო მიმართულებით შეფასება, თუმცა მაინც გამოიკვეთა სკოლის ისეთი საქმიანობა, რომელიც საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება შეფასდეს. ესაა საქმისწარმოება. ამ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიმართულებით სკოლა რანჟირებას უკეთებს დოკუმენტაციას 13 კატეგორიად, ანიჭებს შესაბამის ინდექსებს, რიგით ნომრებთან ერთად და ათავსებს შესაბამის საქაღალდეებში. ამით გამარტივებულია საჭირო დოკუმენტის მოძიება მცირე დროის განმავლობაში. |

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | წინა ვიზიტი განხორციელდა 2016 წელს, სკოლის რეავტორიზაციისას. 2016 წლის 24 აგვისტოს N69 გადაწყვეტილების თანმხლებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N11 ოქმის მე-10 ნაწილის მიხედვით სკოლაში მნიშვნელოვანი დარღვევები არ დაფიქსირებულა. |

*შენიშვნა: მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან  დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.*



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

## IX . ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

### ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

### 2. მატერიალური რესურსი

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს წესდება, დებულება, შინაგანაწესი და სხვა რიგი დოკუმენტებისა, რომელთა გამოყენებით და ასევე, განათლების სისტემაში მოქმედი სამართლებრივი აქტების საშუალებით, სკოლა ხელმძღვანელობს რათა დაგეგმოს საკუთარი საქმიანობა, მიიღოს გადაწყვეტილებები და წარმართოს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა სახის პროცედურები, მათ შორის პრცედურები, რომლებიც ეხება უშუალოდ სასწავლო პროცესს და პროცედურები, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობის თანმხლები პროცედურებია, როგორებიცაა მოსწავლეთა მობილობა, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება და სხვა.<br><br>აღნიშნული დოკუმენტების შესწავლისას **ვერ** გაირკვა მათი დამტკიცების თარიღი. მართალია ამ დოკუმენტებზე არის წარწერა, რომ დამტკიცებულია 2015 წლის 31 აგვისტოს N 1/33 ბრძანებით, მაგრამ რეალურად ამ ბრძანებით მათში უკანასკნელი ცვლილებაა განხორციელებული მხოლოდ სკოლის სახელის შეცვლის გამო და არ გულისხმობს დოკუმენტებში შინაარსობრივ ცვლილებას |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **(იხ. დანართი 1 - ბრძანება N 1/33). ამის გამო დოკუმენტები ასახავენ მოძველებულ რეგულაციებს და მათში არ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებები.** მაგალითად:<br><br>1. სკოლის დებულების **(იხ. დანართი 2 - სკოლის დებულება)** მე-3 მუხლი გვამცნობს, რომ სკოლა ახორციელებს მხოლოდ დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას და იქვე ჩამოთვლილია სკოლის მიზნები, რეალურად კი - 2016 წლის აგვისტოდან (რეავტორიზაციის თარიღი 24.08.2016) სკოლა ახორციელებს დაწყებით და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს და ბუნებრივია მიზნებიც განსხვავებული უნდა იყოს.<br>2. დებულებაში (მუხლი 2) ჩამოთვლილია ის საკანონმდებლო ბაზა, რომლის საფუძველზეც წარიმართება სკოლის საქმიანობა, მათ შორის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმაცაა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია დღეს მოქმედი, მაგრამ არ არის მითითებული მოქმედი 2016 წლის 18 მაისის 40/ნ ბრძანება.<br>3. შინაგანაწესის **(იხ დანართი 3 - შინაგანაწესი)** მე-6 მუხლით რეგულირდება სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლების მიღება, რომელთათვისაც მიღების წესი ერთნაირია და მიღება ხორციელდება გასაუბრების საშუალებით, აღნიშნული რეგულაცია ეწინააღმდეგება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შსახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებას;<br>4. შინაგანაწესის მე-14 მუხლით რეგულირდება შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო და მოცემულია ანაზღაურებადი შვებულებისთვის განკუთვნილი დღეების რაოდენობა, რომელიც შრომის კოდექსის მოქმედი რედაქციის შესაბამისი არ არის. სამაგიეროდ შესაბამისია ძველ რედაქციისა. გარდა ამისა შრომის კოდექსის უკანასკნელი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ცვლილების მიხედვით ცალ-ცალკე მუხლებით რეგულირდება შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო და შვებულება ბავშვის მოვლის გამო, რაც არ არის ასახული შინაგანაწესში.<br>გარდა დოკუმენტაციის კანონშესაბამისი წარმოებისა ექსპერტთა მიერ შემოწმების ობიექტად დაგეგმილი იყო დაწესებულების მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის თანმხლები პროცედურების წარმოების კანონშესაბამისობა, მით უმეტეს, რომ ამის საფუძველს იძლეოდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შესული N679343 და N1139460 წერილების, შპს „ახალი ქართული სკოლის“ (ს.კ:404909532) (შემდგომში - დაწესებულება) მიერ N5/36, N5/37 (ცენტრში რეგისტარაციის N1206009, N1242525, N1243208) წერილებით და მონიტორინგის განხორცილების შემდგომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციის, მონიტორინგის პროცესში სკოლის წარმომადგენლების მიერ გასაუბრებისას გაკეთებული ზეპირი განმარტებებისა და სკოლის დირექტორის ქალბატონ მადონა ლანჩავას ინიაციატივით წარმოდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტების შესწავლის შედეგად, გაირკვა:<br><br>2019 წლის 03 დეკემბერს, შპს ახალი ქართულ სკოლის დირექტორს, განცხადებით მიმართა მოქალაქემ (შემდგომში განმცხადებელი) **(იხ. დანართი 4 - განცხადების რეგისტრაციის N4/72 – 03.12.2019**) რომელმაც ითხოვა შვილის (შემდგომში სტატუსშეჩერებული მოსწავლე), აღნიშნული სკოლის მე-7 კლასში მიღება, განცხადებას მშობელმა დაურთო პირის მიერ უცხოეთში (კერძოდ შვედეთში) მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი თარგმანის ნოტარიულად დამოწმებული ასლი **(იხ. დანართი 5 - უცხოეთში სწავლის დამადასტურებელი** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **დოკუმენტაცია**). დოკუმენტიდან ირკვეოდა, რომ სტატუსშეჩერებული მოსწავლის მიერ სკოლა ბეტაში სწავლის პერიოდია 2015 წლის 25 ნოემბრიდან 2019 წლის 11 სექტემბრის პერიოდი და ასევე ის, რომ 2019 წლის აგვისტოდან სტატუსშეჩერებულ მოსწავლემ სწავლა განაგრძო აღნიშნული სკოლის მე-7 საფეხურზე (კლასში). აღნიშნული განცხადების საფუძველზე, სკოლამ ჩათვალა, რომ უნდა დაიწყოს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა და სკოლის დირექტორმა გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი **(იხ. დანართი 6 - ბრძანება N2/26 -04.12.2019**), „შპს ახალ ქართული სკოლაში სტატუსშეჩერებული მოსწავლი<br><br>ს მეშვიდე კლასში სასწავლო პროცესზე დროებით დაშვების შესახებ“. ამასთან, იმავე დღეს (04 დეკემბერი 2019 წ.) სკოლამ განმცხადებელთან გააფორმა ხელშეკრულება **(იხ. დანართი 7 - რეგისტრაციის N6/154-04.12.2019**) როგორც მეშვიდე კლასის <u>მოსწავლის</u>, სტატუსშეჩერებული მოსწავლის მშობელთან. **საგულისხმოა, რომ ამ მომენტისთვის** (2019 წლის 03 დეკემბრის მდგომარეობით), **სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს ჯერ არ აქვს მოსწავლის სტატუსი.** მას მოსწავლის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა მე-4 კლასში სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის მიერ, 2016 წელს, უცხოეთში გამგზავრებამდე. შესაბამისად, მის მიმართ უნდა განხორციელებულიყო მოსწავლის სტატუსის აღდგენა სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლაში რადგან “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეჩერების წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა უნდა მიმართოს იმ სკოლას, რომელმაც შეუჩერა მოსწავლეს სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს.“ იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მოსწავლეს აღუდგება მოსწავლის სტატუსი იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა სტატუსი.“ იმ შემთხვევაში, თუ სკოლამ შეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე, მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მიმართოს იმ სკოლას, სადაც სურს სწავლის გაგრძელება. აღსანიშნავია, რომ იმ მომენტისთვის (და დღევანდელი მდგომარეობითაც) “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მონაცემებით, სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ საჯარო სკოლას და სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს მოსწავლის სტატუსის აღნიშნულ სკოლაში აღდგენის სამართლებრივად დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობდა.<br><br>აღნიშნულთან დაკავშირებით, შპს ახალი ქართული სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მადონა ლანჩავამ წერილობით განმარტა **(იხ დანართი 8 - სკოლის დირექტორის ახსნა-განმარტება)**, რომ შპს ახალი ქართული სკოლა არ ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სტატუსშეჩერებული მოსწავლე სწავლობდა საქართველოში, უცხოეთში წასვლამდე. **თუმცა, ექსპერტთა აზრით, მას უნდა გამოერკვია, თუ სად სწავლობდა მოსწავლე მანამდე, ვიდრე შვედეთის სკოლა ბეტაში** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **დაიწყებდა სწავლას, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან მოსწავლის მხოლოდ 4 წლის სასწავლო აქტივობა დასტურდებოდა, ის კი ასაკით უკვე მე-7 კლასის ასაკს შეეფერებოდა.**<br><br>**სკოლის დირექტორის განმარტებით,** აღნიშნულის შესახებ (იგულისხმება მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაცია) მისთვის ცნობილი გახდა 2020 წლის თებერვლის ბოლოს. შესაბამისად, სკოლა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ახორციელებდა მთელ რიგ პროცედურებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებით, თუმცა **ეს პროცედურებიც არ მიმდინარეობდა მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.**<br><br>მას შემდეგ, რაც სკოლამ გამოსცა ბრძანება „შპს ახალ ქართული სკოლაში სტატუსშეჩერებული მოსწავლის მეშვიდე კლასში სასწავლო პროცესზე დროებით დაშვების შესახებ“ სკოლამ დაიწყო უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების პროცედურები კერძოდ, შპს ახალი ქართული სკოლის უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის დამდგენი კომისიის 2020 წლის 04 თებერვლის N1 ოქმიდან ირკვევა, რომ აღნიშნულმა კომისიამ, განიხილა სტატუსშეჩერებული მოსწავლის გამოცდების შედეგები, კომისიამ დასკვნით დაადგინა, მე-6 კლასში უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობა რიგ საგნებში (ხატვა, ბიოლოგია, ინგლისური ენა, ფიზიკა, გეოგრაფია, ისტორია, სპორტი, ქიმია, მათემატიკა ) აგრეთვე, ის რომ სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს ჩაუტარდა გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და მუსიკაში და გადაწყვიტა, რომ სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს შეუძლია სწავლა გააგრძელოს შპს ახალი ქართული სკოლის საბაზო საფეხურის მე-7 კლასში **(იხ. დანართი 9 -** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **დასკვნა, ოქმი და გამოცდების შედეგები**). ზემოაღნიშნული დასკვნა სკოლამ (წერილის N5/66 - 05.02.2020) და სტატუსშეჩერებული მოსწავლის მშობელმა (განცხადება N190948-14.02.2020) წარადგინეს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ( შემდგომში - „ცენტრი“) რაზედაც ცენტრის 2020 წლის 18 თებერვლის MES 4 20 00208526 წერილით ეცნობათ დამატებითი და შეცვლილი დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ. მაგრამ სკოლამ აღარ გააგრძელა პროცედურა, რადგან შეიტყო, შპს ახალი ქართული სკოლა არ იყო უფლებამოსილი განეხორციელებინა უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების პროცედურები, რომ მოსწავლეს გორის N2 საჯარო სკოლაში უნდა აღდგენიყო სტატუსი. თუმცა შპს ახალ ქართულ სკოლას რომ ჰქონოდა აღნიშნული უფლებამოსილება, უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების პროცედურებიც თავის მხრივ დარღვევით განხორციელდა, რადგან „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ადგენს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული საგნების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან. დასკვნაში მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგნები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებს და ამ საგნებში მიღებული |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეფასებების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასებებზე გადაყვანის შედეგად მიღებული შეფასებები. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე. შპს ახალი ქართულმა სკოლამ კი თვითონ დაადგინა, რომ მათ მიერ ჩატარებული გამოცდების შედეგად, სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს შეეძლო სწავლა გაეგრძელებინა საბაზო საფეხურის მეშვიდე კლასში, რაც ცენტრის უფლებამოსილებას წარმოადგენს და არა სკოლის.<br><br>2020 წლის 18 თებერვლიდან 2020 წლის 19 მაისამდე სტატუსშეჩერებულ მოსწავლესთან დაკავშირებით, სამართლებრივი ღონისძიებების აღარ ხორციელდება. გასაუბრებისას, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ამ პერიოდში (20 თებერვალს) შეიტყო, რომ სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს მოსწავლის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლაში და პანდემიის პირობებში პროცედურების განხორციელება, რომელიც სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლას უნდა განეხორციელებინა, ვერ დააჩქარეს.<br><br>სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს 2020 წლის 19 მაისს სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის მე-4 კლასში აღუდგა მოსწავლის სტატუსი. 2020 წლის 26 ივნისს ისარგებლა მობილობის უფლებით და გადავიდა შპს ახალი ქართული სკოლის მე-5 კლასში.<br><br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ 2020 წლის 02 ივლისს N551902 წერილით მიმართმა ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და გაითხოვა ამ მოსწავლის მიერ მე-4 კლასის დაძლევის საფუძველი -ზოგადსაგანმანათლებლო |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თავისი საფუძვლით **(იხ. დანართი 10 - წერილები.)**<br><br>აღნიშნული წერილის პასუხად, ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მართვის სისტემაში 2020 წლის 08 ივლისის N576606 კორესპონდენციით გაგზავნილი სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის 2020 წლის 07 ივლისის N574447 წერილით წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, სტატუსშეჩერებულ მოსწავლეს 2020 წლის 19 მაისს სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლაში აღუდგა მოსწავლის სტატუსი მე-4 კლასში. რაც შეეხება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების ფაქტს, სტატუსშეჩერებული მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ასეთი მოთხოვნით სკოლისთვის არ მიუმართავს და შესაბამისად სკოლაში არ მომხდარა მისთვის უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით შესაბამისი პროცედურების დაწყება. ამასთან, სკოლამ დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული მოსწავლე, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ ბაზაში შეცდომით იქნა გადაყვანილი მე-5 კლასში, რეალურად ის მე-4 კლაში უნდა იყოს. ამასთან მოსწავლის პირად საქმეშიც არ ფიქსირდება მოსწავლის მიერ მე-4 კლასის დამლევის ფაქტი **(იხ. დანართი 11 მოსწავლის პირადი საქმე).** მიუხედავად ამისა, აღნიშნული მოსწავლე მობილობის წესით გადავიდა ქალაქ თბილისში შპს ახალი ქართული სკოლის მე-5 კლასში.<br><br>შპს ახალმა ქართულმა სკოლამ მოსწავლე მობილობის საფუძველზე სკოლის მე-5 კლასში ჩარიცხა 2020 წლის 26 ივნისს, ხოლო 29 ივნისს გამოსცა ბრძანება N1/28 საიდანაც ირკვევა, რომ *„მოსწავლეს დადებითად შეუფასდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების* |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | *<u>შესაბამისად ჩატარებული კომპლექსურ დავალებებში მიღებული შეფასება</u>*“ (კლასები არ არის დაკონკრეტებული) ხოლო მოსწავლის შეფასების N1 ოქმიდან ირკვევა, რომ მოსწავლეს, ასაკის შესაბამისად, ეკუთვნის სწავლა გააგრძელოს მე-8 კლასში და ოქმს დანართად ახლავს მე-7 კლასის საგნების შეფასების ცხრილი **(იხ დანართი 12) - მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალებებით კლასების დაძლევის დოკუმენტაცია)**. ონლაინ გასაუბრებისას, სკოლის წარმომადგენლებმა კითხვაზე, თუ როგორ **ახსნიდნენ, რომ 26 ივნისს მობილობით მე-5 კლასში გადმოსულმა მოსწავლემ 3 დღეში, ანუ 29 ივნის დაძლია რიგი კლასები და საგნები და გადავიდა მე-8 კლასში** - განმარტეს, რომ ზემოაღნიშნული პროცედურების განახორციელეს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 4 ივნისის N62/ნ ბრძანების შესაბამისად, კერძოდ იმ ჩანაწერით რომელიც ეხება მოსწავლეს რომელმაც უცხოეთში სწავლის პერიოდში მიიღო ზოგადი განათლება და ვერ ადასტურებს უცხოეთში სწავლის პერიოდში ზოგადი განათლების მიღების ფაქტს, წლიური ქულის გამოყვანის მიზნით:<br><br>ა) უნდა აღუდგეს მოსწავლის სტატუსი; ბ) 2019-2020 სასწავლო წლის ბოლომდე, დისტანციური ფორმით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ამ მოსწავლემ უნდა გაიაროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი კლასის საგნები; გ) სკოლის ადმინისტრაცია 2020 წლის 19 ივნისამდე ამ მოსწავლეს აძლევს ორ შემაჯამებელ-კომპლექსურ დავალებას და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების საფუძველზე აფასებს მას. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეს მიმართ აღნიშნულ ჩანაწერს სკოლა ვერ გამოიყენებდა, რადგან „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 4 ივნისის N62/ნ ბრძანების 56[4] მუხლის მე-9 პუნქტი ეხება პირს, რომელმაც უცხოეთში სწავლის პერიოდში მიიღო ზოგადი განათლება და ვერ ადასტურებს უცხოეთში სწავლის პერიოდში ზოგადი განათლების მიღების ფაქტს, სტატუსშეჩერებული მოსწავლის მიმართ კი აღნიშნული პროცედურები **არ დაწყებულა მას შემდეგ, რაც მოსწავლის სტატუსი აღუდგა,** გარდა ამისა, იმავე ბრძანების 56[4] მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის თანახმად, სკოლის ადმინისტრაცია 2020 წლის 19 ივნისამდე უნდა მიეცა მოსწავლესთვის ორ შემაჯამებელ-კომპლექსური დავალება. 19 ივნისამდე კი მოსწავლეს კომპლექსურ დავალებას ვერ მისცემდნენ ვინაიდან, შპს ახალ ქართულ სკოლაში სტატუსშეჩერებული მოსწავლე **ჩაირიცხა 2020 წლის 26 ივნისს.** სკოლის დირექტორმა და დირექტორის მოადგილემ აღნიშნულთან დაკავშირებით ონლაინ გასაუბრებისას განმარტეს, რომ მოსწავლე მხოლოდ ფორმალურად ირიცხებოდა სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლაში, რეალურად კი ის მობილობამდეც შპს ახალ ქართულ სკოლაში ესწრებოდა საგაკვეთილო პროცესს და კომპლექსური დავალებები მისცეს მობილობამდე, რათა დროში მოეგოთ, მოსწავლის შპს ახალ ქართულ სკოლაში ჩარიცხვამდე. ექსპერტები დაინტერესდნენ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 4 ივნისის N62/ნ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბრძანებით განსაზღვრული „**2019-2020 სასწავლო წელს** ეროვნული სასწავლო გეგმის მე-16, 23-ე, 31-ე, 34-ე, 36-ე, 38-ე და 56-ე მუხლებით სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის დადგენილი რეგულაციებისგან განსხვავებული პირობები“ ჰქონდათ თუ არა სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების სახით გათვალისწინებული, სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ **ცვლილება სასკოლო გეგმაში არ ჰქონდათ ასახული**.<br><br>**ვიზიტის დროინდელი მდგომარეობით მოსწავლე მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში და შპს ახალი ქართული სკოლის მატერიალურ ჟურნალში ირიცხება მე-5 კლასში, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის განცხადებით მოსწავლეს დაძლეული არ აქვს მე-4 კლასი, რეალურად შპს ახალი ქართული სკოლის მიერ კომპლექსური დავალებების საშუალებით გადაყვანილია მე-8 კლასში.**<br><br>ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, ზემოთ აღწერილი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურების არასწორად წარმოებას ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი თუ სკოლა ყოველთვის ასე იქცევა ამ პროცედურის წარმოებისას. ამ მოსაზრების გამოკვლევის მიზნით სკოლის წარმომადგენლებს, ონლაინ შეხვედრისას, ეთხოვათ გადმოეგზავნათ 2019/2020 სასწავლო წელს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურის ნებისმიერი 2-3 ნიმუში **(იხ დანართი 13 - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურები)**. სამწუხაროდ, აღნიშნული ნიმუშების შესწავლამაც დაადასტურა, რომ სკოლაში პროცედურა იწარმოება არასწორად. კერძოდ: განათლების ხარისხის განვითერების ეროვნული ცენტრიდან აღიარების დასკვნის მიღებამდე, რომელშიც ცენტრი ადასტურებს (ან არ ადასტურებს) პირის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიერ უცხოეთში გავლილი საგნების ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებთან შესაბამისობას (სკოლის დასკვნის გამოყენებით), სკოლა თავად ატარებს საკუთარი დასკვნით არაღიარებულ საგნებში გამოცდებს (ექსტერნის!). აღსანიშნავია, რომ ეს გამოცდები ტარდება პირის მიერ ჩარიცხვის თხოვნით სკოლისადმი მიმართვიდან ახლო პერიოდში (საშუალოდ 1 თვის განმავლობაში). ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ გამოცდების დროს პირს მოსწავლის სტატუსი არ აქვს, არ ირიცხება სკოლის ელექტრონულ ბაზაში, ის მხოლოდ დროებითაა დაშვებული სასწავლო პროცესში (ნაცვლად იმისა, რომ მიეცეს გაკვეთილზე დასწრების უფლება სასწავლო პროცესსი მონაწილეობის მიზნით) და შესაბამისად სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებები არამოსწავლე პირის მიმართ ჩაითვლება არამართლზომიერად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | დანართები 1-13;<br>ონლაინ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესები. აღსანიშნავია, რომ ახალი კორონავირუსის (covid 19) პანდემიის გამო სკოლამ ცვლილება შეიტანა აღნიშნულ წესში და დაამტკიცა ახალი რედაქციით. ცვლილების თანახმად შესაძლებელია სკოლაში |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დოკუმენტაციები შემოვიდეს და გავიდეს ელექტრონული ფოსტის და სოციალური ქსელის საშუალებით. დოკუმენტები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით მათ ენიჭება დოკუმენტის კატეგორიის შესაბამისი ინდექსები და რიგობრივი ნომრები, რომელიც ყოველწლიურად თავიდან იწყება. დოკუმენტები რეგისტრირდება ინდექსის შესაბამის ჟურნალებში, ხოლო დოკუმენტებს ინახავენ შესაბამისი ნომრის საქაღალდეებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | საქმისწარმოების წესი;<br>სარეგისტრაციო ჟურნალები და შესაბამისი საქაღალდეები. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | *დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, საკუთარი დოკუმენტები (დებულება, შინაგანაწესი და სხვა) და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად* |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | *1. დარღვეულია შიდა დოკუმენტების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან*<br><br>*2. დარღვეულია „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის* |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

## X. თანდართული დოკუმენტაცია

**დანართი 1 - ბრძანება N 1/33;**
**დანართი 2 - სკოლის დებულება;**
**დანართი 3 - შინაგანაწესი;**
**დანართი 4 - განცხადების  რეგისტრაციის N4/72 – 03.12.2019;**
**დანართი 5 - უცხოეთში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**
**დანართი 6 - ბრძანება N2/26 -04.12.2019;**
**დანართი 7 - რეგისტრაციის N6/154-04.12.2019;**
**დანართი 8 - სკოლის დირექტორის ახსნა-განმარტება;**
**დანართი 9 - დასკვნა, ოქმი და გამოცდების შედეგები;**
**დანართი 10 - წერილები;**
**დანართი 11 - პირადი საქმე;**
**დანართი 12 - სტატუსშეჩერებული მოსწავლეს მიერ კომპლექსური დავალებებით კლასების დაძლევის დოკუმენტაცია;**
**დანართი 13 - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურები.**

თბილისი. 04.03.2021.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა: 24



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.